

ხათუნა ხაბულიანი

გურამ წიბახაშვილი „კვირფასი ბინძური თბილისი“-ს შესახებ

მოდერნისტული ფაქტურა, როგორც ჩანს, სერიოზული ინსპირაციის საგანი აღმოჩნდა გურამ წიბახაშვილისათვის. მისივე თქმით, „ულისეს“ ტექსტმა შეცვალა და გაამძაფრა მისი ხედვა. გამოფენა ქარვასლაში სახელწოდებით „ულისეს“ ამ ნაწარმოების ქართულ თარგმანს მიეძღვნა. მეორე მხრივ, შეიძლება მას ამ ათიოდე წლის წინანდელი თბილისის ფოტოისტორიაც დავარქვათ, ან თუნდაც- კულტურული ისტორიაც – რეალური ქალაქის რეალური პეიზაჟებით და ასეთივე პერსონაჟებით, ქვემოთ ხელით მიწერილი ციტატებით „ულისეს“-დან.. თუ ზემოთ აღნიშნულ ავტორისეულ კომენტარს არ გავითვალისწინებთ, ერთი შეხედვით ძნელი იქნება კავშირის დანახვა ფოტოსახეებსა და ტექსტს შორის, თუმცა გამოუცდელი თვალისთვისაც პირველი შეხედვაც საკმარისია იმის დასანახავად, რომ ზედაპირზე თამაშთან არ გვაქვს საქმე. კავშირი ფოტოსახეებსა და ტექსტებს შორის საკმაოდ ღრმაა და ავტორის მინიმალისტური ახსნაც – „ულისეს“-მ შეცვალა ჩემი ხედვა და მე ვაფიქსირებდი იმას, რასაც უკვე სხვანაირად ვხედავდი“, – ბუნებრივია, რომ ანთროპოლოგიური მოგზაურობისაკენ გვიბიძგებს.

პერიოდი, რომელსაც გურამ წიბახაშვილის ფოტომარგინალები ასახავს, ერთ-ერთი ყველაზე არასიმპათიური პერიოდია ჩვენი ისტორიისათვის. ეს არის 90-იანი წლების დასაწყისის თბილისი, მასში მცხოვრებთა შესაბამისი განცდით, რომ „რადაც სერიოზულ გაუგებრობაში მოვხვდით“. მოკლედ, პერიოდი დღევანდელი დისტანციიდან საგსებით გასაგებია, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის მარცხის შემდგომი პროცესი – ომით, ხრწნითა და აპათიით. ერთ ფოტონამუშევარზე დაფიქსირებულია ტიპიური საბჭოთა პლაკატი – „მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი – Больше демократии, больше социализма“. ფოტოზე ისეთი რაკურსიდან ფიქსირდება შუა ფრაგმენტი, რომ იკითხება – „**მეტი – Боль**“.. ეს საკმაოდ წარმატებული ფიქსაციაა კონცეპტუალური სახელმწიფოს ამბიციების სამწუხარო ტრანსფორმაციისა მის ტრაგიკულ მარცხად.

ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში გურამ წიბახაშვილმა თქვა, რომ არ ეთანხმება იმ ფოტოხელოვანთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ომის დროს სიცოცხლე განსაკუთრებით მძაფრი ხდება და ღირს რისკი ომის დოკუმენტაციის შესაქმნელად. ის ფიქრობს, რომ სიცოცხლე ყოველთვის ინტენსიურია. აქ სიხარულით ვეთანხმები ავტორს და ვამატებ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ სფეროში ვერ გავიზიარებ ვერანაირ შეზღუდვასა და აკრძალვას ნებისმიერი ესთეტიური დასაბუთების საფუძველზე, ყოველთვის უფრო ძლიერი მუხტისაა ის იმიჯი, რომელიც დრამატიზმს სისხლისა და ღია ჭრილობების გარეშე ასახავს, იმდენად, რამდენადაც ინტელექტუალური „დამუშავება“

ბევრად უფრო დიდ „ხარჯვას“ მოითხოვს. „ულისე“-ს გურამ წიბახაშვილის ვერსიაში არის ასე „დამუშავებული“ აპათიური პეიზაჟები, „სასაფლაოები“ თავიანთი „ნესტითა“ და მაზომბირებელი ესთეტიკით. ერთი პეიზაჟი – გადათხრილი, ნაცრისფერი ადგილი ციტატით – „სასაფლაოზე“, – თქვა მარტინ კანინგემმა“, ერთგვარი გამოსმოხაა ჯეფ უოლის ავღანური რეპორტაჟებისა. აქ თითქოს „სასაფლაოა“ უხილავი ჯარისკაცებისათვის. გარეუბნის ასეთსავე ქუჩაზე კი აქცენტირებულია თითქოს ზემოდან ჩამოშვებული მოძრაობის აკრძალვის აღმნიშვნელი საგზაო ნიშანი მინიშნებით ეგზისტენციალური ვაკუუმი ჩიხზე. კოლექციაში ხდება ზუსტი ინტერპრეტაცია ჯოისისეული სქემისა, სადაც ლეოპოლდ ბლუმის მოგზაურობა „ძვირფასი ბინძური დუბლინის“ ქუჩებში სიცოცხლის ინტენსივობას ქალაქის კლოაკასთან იდენტიფიკაციით აღწევს, რომლის ფონზეც მწიფდება კულტურის პროდუქტი სტივენ დედალოსის სახით... „ძვირფასი ბინძური თბილისის“ სერია მიჰყვება ჯოისის რუკას, თუმცა ზოგან სწორხაზოვანიც ხდება, სადაც თბილისის ფრაგმენტები ფიზიკურად ემსგავსება ჯოისისდროინდელი დუბლინის ფრაგმენტებს – ოკონოლის ქუჩისა და ხიდის კუთხეს. სხვა მხრივ, ეს სწორხაზოვნება კომპენსირებულია იუმორითა და დახვეწილი ორაზროვნებით.

ზემოთ ხსენებულ ნამუშევარზე – „მეტი – БИЛЖ“, ციტატაა: „მაილზ, შემოგვიერთდებით? – იკითხა ნედ ლამბერტმა“. თბილისურ ვერსიაში კულტურული პროდუქცია ბოჰემის წარმომადგენლების სიტუაციური პორტრეტების სახით ჩნდება. ისინი მათთვის ორგანულ ქსოვილში იმყოფებიან, რომელიც იმავდროულად იმ უნიკალურ ფონს ქმნიდა, სადაც სტილს ეგზისტენციალური, სასიცოცხლო დატვირთვა ჰქონდა.

კავშირს ულისესთან აქ სხვა მხარეც აქვს, გამომდინარე 90-იანი წლების არტ ცხოვრების სპეციფიკიდან.

ამ პერიოდის ავანგარდული მოძრაობები დასავლური პოსტმოდერნისტული აქციებით იყო შთაგონებული, თუმცა თავად ბოჰემური განწყობები უფრო XX-ის დასაწყისის მოდერნს ჰგავდა სიურრეალისტური, დადაისტური თუ ექსპრესიონისტული თვითგანცდით. გლობალიზაციის ეს პროცესი პოსტ-საბჭოთა სივრცეში საკმაოდ აქტიური და მრავალფეროვანი იყო, თუმცა ზედაპირზე მხოლოდ თვითდამკვიდრების მოტივები, პლაგიატი, ეპატაჟური ექსტრემიზმი და აპათია ჩანდა. მოდამ “სოვიეტ ავანგარდზე” ფსევდოხელოვნებისა და ფსევდოხელოვანთა ნაკადი გამოიწვია, აუდიტორიაში კი უნდობლობა თანამედროვე ხელოვნებისადმი. თუმცა, ამ ფსევდო მოძრაობებსაც ჰქონდათ თავიანთი ღირებულება და არასახარბიელო, მაგრამ არც თუ ისე უმნიშვნელო როლი ეკისრებოდათ მის მონაწილეებს გარდამავალი ეპოქის სიუჟეტში.

შედარებით მცირე ნაწილი ცდილობდა ამოეგოსო გამოტოვებული გამოცდილებები დაკავშირებული დასავლურ კულტურასთან და მათთან არსებული გაუცხოება გადაეღახა. ქაოსის ტრანსფორმაციის ეს სივრცე შეიძლება იწვევდა კიდევ ასოციაციებს “ულისეს” თავისი დროისათვის “ექსპერიმენტულ” სტრუქტურასთან.

ფოტომარგინალების ფორმას გურამ წიბახაშვილი ხშირად მიმართავს. ერთ სერიაში მას ციტრებები ლუის კეროლის იგავიდან მოჰყავს. ამ სერიის შესახებ არსებობს „რტორუმ“-ში გამოქვეყნებული მარეკ ბარტელიკის წერილი, სადაც ეს მანერა განმარტებულია, როგორც მანერა „რეალობის აღქმისათვის იმ ზოგადი მატრიცის გასაფართოებლად, რომელიც ლოკალურ კულტურულ საზღვრებს მიღმა არსებობს“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოცანა უფრო გაღრმავებულია „ულისე“-ს ვერსიაში.

-პირველი ვარიანტი (მცირე განსხვავებით) დაიბეჭდა გაზეთ “ალტერნატივა“-ში №65